მენარინის ქცევის გლობალური კოდექსი

Ethical vision,
Integrity in action

MENARINI group

შესავალი

“პატივცემულო Menarini Group -ის წევრებო,

მოგესალმებათ, ჩვენ ვართ ოჯახი, რომელიც მკაცრად იცავს ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს და წარმართავს თავის საქმიანობას ძირითადი ღირებულებების, მათ შორის ეთიკის ნორმების და გამჭვირვალობის დაცვით. თითოეული ჩვენგანი იღებს ვალდებულებას დაიცვას ყველა კანონი და რეგულაცია, იმოქმედოს კეთილსინდისიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული ეთიკური სტანდარტები ფუნდამენტურია ჩვენი ჯგუფის პოლიტიკისთვის, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უზრუნველყოფს თანამშრომლებთან ურთიერთქმედების, პარტნიორებთან და პროვაიდერებთან ბიზნესის წარმოების და პაციენტებისა და საზოგადოებისთვის სერვისების მიწოდების საერთო სტრუქტურას. ვიმედოვნებთ, რომ დარჩებით ჩვენი ქცევის კოდექსის ერთგულნი, რათა მომავალშიც ვიყოთ საიმედო არჩევანი ყველა ჩვენი პარტნიორისათვის.”

Elcin Barker Ergun

01

ეთიკური

არჩევანი

7. მიზანი

8 მონაწილე მხარეები

8 რატომ ვადგენთ პრინციპებს
და წესებს, რომლებიც
არეგულირებს ჩვენს
მოქმედებებს

8 მენეჯმენტის ვალდებულება
და პასუხისმგებლობა

9 პასუხისმგებლობა და
კანონებთან და
რეგულაციებთან
შესაბამისობა

02

კეთილსინდისიერება ბიზნესის

წარმოების პროცესში

11 ქრთამის აღების
დაუშვებლობა
13 ურთიერთქმედება
ჯანდაცვის
სპეციალისტებთან
(HCPs)
14 პრომოციასთან
დაკავშირებული
აქტივობა და
სამეცნიერო ცოდნის
გაცვლა
15 საჩუქრები,
სტუმართმოყვარეობ
ა და
დაკავშირებული
ხარჯები
15 ინტერესთა
კონფლიქტი
16 პროვაიდერების
არჩევა და
შესყიდვები
17 კონკურენცია და
სამართლიანი
გარიგება
18 საერთაშორისო
სავაჭრო აქტივობები
18 გარემოს დაცვა

03

ჩვენი თანამშრომლების დაცვა

21 ადამიანური
რესურსები

22 ნულოვანი
ტოლერანტობა
შევიწროებისა და
დისკრიმინაციის
მიმართ

23 სამართლიანი
მოპყრობა

23 ჯანმრთელობა და
უსაფრთხოება

24 ადამიანის უფლებები

25 თანამშრომლის
კონფიდენციალობასთ
ან დაკავშირებული
უფლებები

25 ინტეგრირების
კულტურა

26 პასუხისმგებლიანი
კომუნიკაცია
სოციალური მედიის
გამოყენებისას

04

ჩვენს პაციენტებზე ფოკუსირება

29 კეთილსინდისიერება
კვლევისა და
განვითარების
საქმიანობებში

30 მონაცემების
გამჟღავნება

31 ჩვენი პროდუქტების
ხარისხი

32 პაციენტის
უსაფრთხოება

31 უსაფრთხოების
მონიტორინგი და
ანგარიშგება

32 მონაცემთა
კონფიდენციალობა

05

კეთილსინდისიერება
ინფორმაციის
დამუშავებისა და აქტივების
დაცვის პროცესში

35 საზუღალტრო წიგნები,
ჩანაწერები და
ფინანსური ანგარიშები

35 ინტელექტუალური
საკუთრება

36 კონფიდენციალური
ინფორმაცია

36 კორპორატიული
აქტივების დაცვა

06

პასუხისმგებლობა

საზოგადოების მიმართ

39 პოლიტიკური
შენატანები

39 საქველმოქმედო
შემოწირულობები და
სოციალური პროექტები

40 სახელისუფლებო
ორგანოებთან და უწყებებთან
თანამშრომლობა

07

ქცევის კოდექსის დარღვევების
ანგარიშგება

(კორპორატიული ინფორმირების
პოლიტიკა)

43 ინფორმირება

45 დისციპლინარული
სანქციები

45 დაცვა სამაგიეროს
მიზღვისგან

08

საკონტაქტო

ინფორმაცია

47 საკონტაქტო
ინფორმაცია

01

ეთიკური არჩევანი

მიზანი

მონაწილე მხარეები

რატომ ვადგენთ წესებს და პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს ჩვენს მოქმედებებს

მენეჯმენტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა

პასუხისმგებლობა და კანონებთან და რეგულაციებთან

შესაბამისობა



მიზანი

Menarini Group-მა მიიღო ქცევის კოდექსი (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კოდექსი“) ეთიკური სტანდარტების ხელშეწყობის, კანონებისა და რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და შეუსაბამო ან უკანონო ქცევის შესახებ შეტყობინების გასაადვილებლად. **Menarini Group** -ის კომპანიების მიერ ნებაყოფლობით დანერგილი კოდექსი ადგენს პოზიტიურ პრინციპებს და ქცევის წესებს, როგორც თანამშრომლების, პაციენტების, ბიზნეს პარტნიორების და მთლიანად საზოგადოების (ანუ დაინტერესებული მხარეების) მიმართ ერთგულების კონკრეტულ გამოხატულებას.

თითოეული ჩვენგანისთვის ეს კოდექსი წარმოადგენს მთავარ გზამკვლევს, რომ ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად.

კოდექსის ინგლისურ ვერსიასა და ნებისმიერ სხვა თარგმანს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

მონაწილე მხარეები

რატომ ვადგენთ წესებს და პრინციპებს, რომლებიც არეგულირებს ჩვენს მოქმედებებს

მენეჯმენტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა

კოდექსი უშუალოდ ეხება **Menarini Group**-ის ყველა კომპანიას, მის თანამშრომლებს, თანამდებობის პირებს და დირექტორებს, ასევე ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს და ყველა სხვა პირს, რომლებსაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ **Menarini Group**-თან (ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მონაწილე მხარეები“).

მიუხედავად იმისა, რომ **Menarini Group** -მა შეიმუშავა მთელი რიგი პრინციპებისა და წესებისა, ჩვენ კვლავ შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც ნათლად არ ჩანს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ სწორად. ასეთ შემთხვევებში გთხოვთ გაეცნოთ კოდექსს და მასში დადგენილ პრინციპებს. რწმენა იმისა, რომ ქმედებები განხორციელდა კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს წინამდებარე კოდექსის საწინააღმდეგო მოქმედებებს.

მენეჯმენტი უშუალოდ არის პასუხისმგებელი კოდექსის შესრულების ზედამხედველობაზე და ვალდებულია გადადგას ყოველგვარი აუცილებელი ნაბიჯი რათა უზრუნველყოს მისი დაცვა **Menarini Group**- ის შესაბამის კომპანიებში.

ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯმენტი უშუალოდ არის პასუხისმგებელი ეთიკური საკითხების იდენტიფიცირებასა და თავიანთი მითითებების, ქმედებებისა და ქცევის საშუალებით ამ კოდექსით დადგენილი ეთიკური პრინციპებისა და წესების მნიშვნელობის დემონსტრირებაზე..

მენეჯმენტის ვალდებულება და პასუხისმგებლობა

მენარინის ყველა ხელმძღვანელი პირი ვალდებულია ჯგუფის ძირითადი ღირებულებების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილებები, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე და პასუხი აგოს მათზე. მაგალითის მიცემით, ისინი უზრუნველყოფენ პრინციპებისა და ქცევის წესების არა მხოლოდ ცოდნას, გაგებას და დაცვას ყველა თანამშრომლის მიერ, არამედ ასევე უზრუნველყოფენ მართვას, მხარდაჭერას და ახსნა-განმარტებას, როდესაც ეს საჭიროა ან მიიჩნევა აუცილებლობად.

ხელმძღვანელობამ მკაფიოდ უნდა აჩვენოს, რომ ქცევის კოდექსის დარღვევა არ იქნება შეწყნარებული.

პასუხისმგებლობა და კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობა

მენარინი იცავს იმ ქვეყნების ყველა მოქმედ კანონს და რეგულაციას, სადაც ის ოპერირებს, მათ შორის კანონებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომლებიც არეგულირებს ჩვენი ყველა პროდუქტის კვლევას (R&D-ს,) განვითარებას, წარმოებას, დისტრიბუციას, მარკეტინგს, გაყიდვებს და პრომოციას. აღნიშნული ასევე ეხება ადგილობრივი სავაჭრო გაერთიანებების კოდექსებს. ამ კოდექსსა და მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობას და რეგულაციებს შორის წინააღმდეგობის და/ან შეუსაბამობის შემთხვევაში გამოიყენება მათ შორის ყველაზე მკაცრი წესი.

02

კეთილსინდისიერება ბიზნესის წარმოების პროცესში

ქრთამის აღების დაუშვებლობა
ურთიერთქმედება ჯანდაცვის სპეციალისტებთან (HCPs)
პრომოციასთან დაკავშირებული აქტივობა
და სამეცნიერო ცოდნის გაცვლა
საჩუქრები, სტუმართმოყვარეობა და დაკავშირებული ხარჯები
ინტერესთა კონფლიქტი
პროვაიდერების არჩევა და შესყიდვები
კონკურენცია და სამართლიანი გარიგება
საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობა
გარემოს დაცვა

ქრთამის აღების დაუშვებლობა

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

მენარინი კატეგორიულად კრძალავს ქრთამის აღების ნებისმიერ ფორმას (იქნება ეს საჯარო, კერძო, აქტიური თუ პასიური), ქონების მითვისებას ან გაფლანგვას, თაღლითობას, ქურდობას და/ან არამართებული სარგებლის უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე, მონაწილე მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე ღირებულის შეთავაზებისგან, დაპირებისგან ან გაცემისგან (მაგ., საჩუქრები, არაგონივრული სამოგზაურო შეღავათები, ბიზნეს შეთანხმებები და ა.შ.), რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებაზე ან გამოიწვიოს არასამართლიანი ბიზნეს უპირატესობის მიღება, მათ შორის არსებულ ხელშეკრულებებთან ან ახალი ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით.

რთულ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში ჰკითხეთ თქვენს თავს:

•დაშვებულია თუ არა ეს მოქმედი კანონმდებლობითა და რეგულაციებით?
•შეესაბამება თუ არა იგი წინამდებარე კოდექსის მნიშვნელობას და კომპანიის სხვა პოლიტიკასა და პროცედურებს??
•ვიგრძნობდი კი თავს კომფორტულად ჩემი მოქმედებების მედიისთვის გამჟღავნების შემთხვევაში?

ქრთამის აღების დაუშვებლობა

ნებისმიერი ასეთი მოქმედება დაუშვებლად მიიჩნევა მენარინის, მისი თანამშრომლებისა და ბიზნესპარტნიორების მიერ. ისეთ მესამე მხარესთან თანამშრომლობისას, რომელიც გვთავაზობს ან იხდის ქრთამს, ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე კოდექსის და (კომპანიასთან ერთად) იმ ქვეყნების კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, რომლებშიც ვახორციელებთ საქმიანობას. იმ ფაქტის უზრუნველსაყოფად, რომ მენარინი ურთიერთობას აწარმოებს მხოლოდ მათთან, ვინც ერთგულად იცავს ჩვენს ეთიკურ სტანდარტებს, მესამე მხარეთა არჩევისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა და კომპლექსური ანალიზის ჩატარება .

აღნიშნული ეხება ჯანდაცვის სპეციალისტებთან ურთიერთობას. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ხშირად ისინი შეიძლება იყვნენ უფლებამოსილი სამთავრობო/საჯარო მოხელეები, რომლებიც საქმიანობენ ქრთამის აღების და კორუფციის საწინააღმდეგო კანონების გავრცელების კუთხით. *(იხილეთ პუნქტი „ჯანდაცვის სპეციალისტებთან ურთიერთქმედება“)*

ჯანდაცვის სპეციალისტებთან ურთიერთქმედება (HCPs)

მენარინი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს, რომლებიც უკავშირდება ჯანდაცვის სპეციალისტებთან (HCPs) ურთიერთქმედებას.

მათ დამოუკიდებელ სამედიცინო დასკვნაზე ზემოქმედების გამოსარიცხად, ყოველგვარი ურთიერთობა HCPs-თან, რომლებიც წარმოადგენენ სამთავრობო უწყების ან სხვა ორგანიზაციის თანამდებობის პირებს ან თანამშრომლებს (იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორში) სრულად კონტროლდება *(იხილეთ პუნქტი „ქრთამის აღების დაუშვებლობა“).*

თუ თქვენ გჭირდებათ HCP-ის მომსახურება ჩვენი კვლევისთვის ან სამეცნიერო ცოდნის გაცვლისთვის, იქნება ეს მკვლევარის, კონსულტანტის თუ მომხსენებლის რანგში, აღნიშნული შესრულდება მხოლოდ კანონიერი და მართებული ბიზნეს მიზნებისთვის. ასევე, ასეთი თანამშრომლობის პირობები უნდა შეესაბამებოდეს შიდა პრინციპებსა და წესებს და ყველა მოქმედ კანონსა და რეგულაციას. ფაქტობრივად, HCP-ებთან ურთიერთქმედება უნდა რეგულირდებოდეს გლობალურად გამოყენებული კანონებით და შესაბამისი ინდუსტრიის ქცევის სტანდარტებით (როგორიცაა ფარმაცევტული მწარმოებლებისა და ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია - IFPMA), ან რეგიონალური/ლოკალური კანონებით (როგორიცაა ფარმაცევტული მრეწველობის & ასოციაციების ევროპული ფედერაცია - EFPIA).

ამ მიზნით, მენარინმა დაადგინა სპეციფიკური შიდა ნორმები ჯანდაცვის სისტემებთან, ფარმაცევტულ მარკეტინგთან და პრომოციის აქტივობებთან დაკავშირებით პროფესიული ეთიკისა და კეთილსინდისიერების პოლიტიკის (Ethics & Intergrity Policies) და აგრეთვე მის გლობალურ მონაცემთა დაცვის მართვის მოდელისა და მოქმედი ანტიმონოპოლიური შესაბამისობის პროგრამების ფარგლებში, რომლებიც მიღებულია ცალკეული კომპანიის დონეზე.

ჯანდაცვის სპეციალისტები მოიცავს ექიმებს, სტომატოლოგიის დარგში მომუშავე სპეციალისტებს, ფარმაცევტებს ან მედდების პერსონალს და ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც თავისი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში შეუძლია გამოწეროს, შეიძინოს, მიაწოდოს, რეკომენდაცია გაუწიოს ან დანიშნოს სამედიცინო პრეპარატები.

პრომოციასთან დაკავშირებული აქტივობები და სამეცნიერო ცოდნის გაცვლა

ზრუნავს რა საკუთარი პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე, მენარინი მიზნად ისახავს განახორციელოს თავისი საინფორმაციო და პრომოციის აქტივობები კეთილსინდისიერად და სამართლიანად, რათა უზრუნველყოს და გააძლიეროს მისი, როგორც სანდო კომპანიის იმიჯი. პრომოცია შექმნილია იმისთვის, რომ ჯანდაცვის სპეციალისტებს (HCPs) საშუალება მიეცეთ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი ჩვენი პროდუქტების თერაპიულ ღირებულებასთან დაკავშირებით, უზრუნველყონ მათი ეფექტური გამოყენება და გააუმჯობესონ პაციენტის მკურნალობა. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს მიღწევებს სამედიცინო კვლევებში, ცოდნის გაფართოებას მედიცინის და პრაქტიკის მენეჯმენტის სფეროებში, ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების გაუმჯობესებას და მნიშვნელოვანი უკუკავშირის შემდგომ შეგროვებას.

პრომოციასთან დაკავშირებული მასალა და აქტივობები, მათ შორის ნებისმიერი მასალა ან აქტივობა, რომელსაც აქტიურად იყენებს კომპანია ან მისი თანამშრომლები და რომლებიც შეიცავს განსაზღვრულ მტკიცებულებებს ან სხვა ინფორმაციას ჩვენს პროდუქტებთან დაკავშირებით, მკაცრად რეგულირდება მთელ მსოფლიოში: ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ ყველა მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაცია.

გარდა ამისა, პრომოციასთან დაკავშირებული ყოველგვარი მასალა და აქტივობა უნდა იყოს უკიდურესად ზუსტი, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი გაურკვევლობა და უნდა შეესაბამებოდეს მაღალ ეთიკურ, სამედიცინო და სამეცნიერო სტანდარტებს.

საჩუქრები, სტუმართმოყვარეობა და დაკავშირებლი ხარჯები

პრინციპში, თუ მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით ან სამრეწველო კოდექსის შესაბამისი დებულებებით არ არის აკრძალული, დაშვებულია ჩვეულებრივი საჩუქრების შეთავაზება ან მოკრძალებული სადილით გამასპინძლება ან სხვა სახის სარგებელი საქმიან დისკუსიებთან დაკავშირებით.

აღნიშნული შეიძლება შემოიფარგლოს იმ შემთხვევებით, როდესაც ასეთი თავაზიანობა არ შეიძლება იყოს აღქმული, როგორც მიმღების მოსყიდვის მცდელობა (იხილეთ პუნქტი „ქრთამის აღების დაუშვებლობა“). გარდა ამისა, ისინი უნდა შეესაბამებოდეს რეგულაციებს და ბიზნეს ეთიკის სტანდარტებს, რომლებიც დაშვებულია ადგილობრივი პრაქტიკითა და კანონებით (იხილეთ პუნქტი „ურთიერთქმედება ჯანდაცვის სპეციალისტებთან“).

ინტერესთა კონფლიქტი

ინტერესთა კონფლიქტი არის სიტუაცია, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც თქვენი პირადი ინტერესები არ შეესაბამება ან იქმნება წარმოდგენა, რომ ეწინააღმდეგება, მათ შორის პოტენციურად, მენარინის ინტერესებს.

რომელიმე აღნიშნული ქმედების განხორციელება (ინტერესთა რეალური ან პოტენციური კონფლიქტის არსებობისას), მათი განხორციელების ხელშეწყობა ან ნებისმიერი სხვა აქტივობა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენი პროფესიული განსჯის უნარს და/ან საფრთხე შეუქმნას თქვენს მიერ კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებას, აკრძალულია. აღნიშნული ასევე ეხება სხვა დაკავშირებულ საქმიანობას, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კოდექსის პრინციპებსა და წესებს.

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულმა უბრალო ეჭვმა შეიძლება შეარყიოს მენარინის სანდოობა და სერიოზულად დააზიანოს ჩვენი რეპუტაცია. ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ გამოვავლინოთ ასეთი სიტუაცია და მივიღოთ ზომები ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად.

‘ინტერესთა კონფლიქტის’ მაგალითი : ორ ადგილას მუშაობა

სცენარი
ადამიანური რესურსების(HR) განყოფილება ინფორმირებულია თანამშრომლის შესახებ, რომელიც სრულ განაკვეთზე მუშაობს სხვა ფარმაცევტულ კომპანიაშიც. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

შედეგი
HR-თან თანამშრომლის გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ მენარინში მუშაობის დაწყებამდე მას არ შეუწყვეტია წინა დამქირავებელთან მუშაობა. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ორმაგი დასაქმება წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს, რაც ორივე კომპანიის კონფიდენციალობას უქმნის მნიშვნელოვან საფრთხეს, მისი ხელშეკრულება მენარინთან დაუყოვნებლივ წყდება.

დასკვნები
უნდა გვესმოდეს, რომ ორმაგი დასაქმება კატეგორიულად მიუღებელია, რადგან აშკარად ხელს უშლის სამუშაო ვალდებულებების შესრულებას და ეწინააღმდეგება კომპანიის ბიზნეს ინტერესებს.

პროვაიდერების არჩევა და შესყიდვები

მენარინი თავისი საქმიანობის წარმოებისას შეისყიდის საქონელს და მომსახურებას მათი ხარისხის, უსაფრთხოებისა და ღირებულების, ასევე სანდო პროვაიდერების მიერ შეთავაზებული ფასის გათვალისწინებით

პროვიდერებმა უნდა გაიზიარონ ჩვენი ვალდებულება კეთილსინდისიერად მუშაობასა და საერთაშორისო და ადგილობრივ კანონებთან შესაბამოსობასთან დაკავშირებით.

პროვაიდერების შერჩევა ემყარება სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი იმ ინტერესთა კონფლიქტის, მათ შორის პოტენციურის, თავიდან აცილებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქონლისა და მომსახურების შეძენასთან დაკავშირებით ჩვენს გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ჩვენ ვახორციელებთ ჩვენს პროვაიდერებთან ურთიერთობის რეგულარულობის მონიტორინგს და შემოწმებას. *(იხილეთ მენარინის მესამე მხარეთა ქცევის გლობალური კოდექსი).*

ჩვენ არ შევეგუებით ისეთ არაკანონიერ ქცევას, როგორიცაა კორუფცია, არასამართლიანი კონკურენცია, გარემოს დაცვის დებულებების დარღვევა ან სამუშაო პირობები, რომლებიც არ იცავს ადამიანის უფლებებს.

კონკურენცია და სამართლიანი გარიგება

კონკურენცია და სამართლიანი გარიგება მენარინისთვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სამართლებრივი მოთხოვნები: ისინი წარმოადგენენ დამკვიდრებულ კორპორატიულ ღირებულებებს. ჩვენ მიზნად ვისახავთ ხელი შევუწყოთ ღია და კონკურენტუნარიან ბაზარს, რომელიც მუშაობს ჩვენი პროდუქციის სიძლიერესა და ღირებულებაზე დაყრდნობით.

როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი, **Menarini Group**-მა დანერგა სპეციალური პოლიტიკა და პროგრამები, რათა უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია და გარიგება ყოველგვარ ბიზნეს ურთიერთობაში. **2006** წლიდან დანერგილია ტრენინგის, კონტროლისა და კორპორატიული პოლიტიკის ყოვლისმომცველი სისტემა და ხორციელდება მისი მუდმივი განახლება ბიზნესის წარმოების პროცესში ანტიმონოპოლიური დარღვევის რისკის შესამცირებლად.

საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობა

გარემოს დაცვა

მენარინი ვალდებულია დაიცვას ყველა საერთაშორისო სავაჭრო კანონი და რეგულაცია, მათ შორის ისინი, რომლებიც არეგულირებს იმპორტსა და ექსპორტს ან უკავშირდება სავაჭრო სანქციებსა და ემბარგოებს.

ყველა თანამშრომელი ინფორმირებული უნდა იყოს შეზღუდვების შესახებ, რომლებიც ვრცელდება მენარინის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობაზე.

შეზღუდვები ან აკრძალვები შეიძლება დამოკიდებული იყოს საქონლის ბუნებაზე, წარმოშობის ან დანიშნულების ქვეყანაზე, ფინანსური ტრანზაქციის ვალუტაზე ან თუნდაც ასეთი ტრანზაქციის ნაწილის განსაზღვრაზე,

მენარინი ჭეშმარიტად აცნობიერებს ბუნებრივი გარემოს დაცვის მნიშვნელობას და ამ მიზეზით, ის გეგმავს თავის საქმიანობას ეკონომიკურ ინიციატივებსა და დღეისათვის გარემოს დაცვის აუცილებელ საჭიროებებს შორის ადეკვატური ბალანსის მოძიებით. ჩვენ ვაწარმოებთ ჩვენს ბიზნესს მდგრადი განვითარების გზით, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე ზემოქმედება.

ეს აისახება ჩვენს დაპირებაში, რომ ყველა ჩვენს ობიექტზე მსოფლიოს მასშტაბით დავნერგოთ გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებიან ყველა მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ კანონსა და რეგულაციას და ამავდროულად უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი ძალისხმევა გარემოზე ზემოქმედების შემცირების კუთხით იყოს მაქსიმალურად ეფექტური.

თავი 2 - პრაქტიკული მაგალითები

შემიძლია დავთანხმდე პროვაიდერის ღონისძიებაზე მიწვევას?
მოქმედი ადგილობრივი კანონებისა და ინდუსტრიის კოდექსებიდან გამომდინარე, ასეთი მოწვევის მიღება არ არის აკრძალული, თუ ასეთი შემთხვევები გონივრული და არარეგულარულია. მიწვევაზე თანხმობის მიცემამდე უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენს მენეჯერთან, რადგან აღნიშნულმა შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენს ობიექტურობაზე მომავალში გადაწყვეტილების მიღებისას.

როგორ მოვიქცე თუ მჭირდება გადაწყვეტილების მიღება, რომელმაც შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს?
დაუყოვნებლივ განიხილეთ სიტუაცია თქვენს მენეჯერთან. ჩვეულებრივ, პოტენციური კონფლიქტის გამჟღავნება და დოკუმენტირება შეიძლება საკმარისი იყოს. თქვენ ორივემ, ასევე შეგიძლიათ განიხილოთ ეს საკითხი ჩვენს კომპლაენსის ან იურიდიულ განყოფილებებთან, რათა იპოვოთ შესაბამისი გამოსავალი

როგორც გაყიდვების წარმომადგენელს, მსურს, რომ HCP-ს ჩემს ტერიტორიაზე მივაწოდო პლანშეტური კომპიუტერები, რომლებიც შეიცავს ჩვენი პროდუქციის შესახებ პრეზენტაციას. შესაძლებელია თუ არა აღნიშნული?
არა. დასაშვებია მხოლოდ საგანმანათლებლო მასალები და საგნები, რომლებიც არის ნომინალური ღირებულების, მნიშვნელოვანია სამედიცინო თვალსაზრისით და ნებადართულია ადგილობრივი კანონმდებლობითა და კომპანიის პოლიტიკით. ყველა საჩუქარი წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული კომპანიის შესაბამისი განყოფილების მიერ. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ეჭვი ნებადართულ საჩუქრებთან დაკავშირებით, მიმართეთ კომპლაენსის განყოფილებას საკითხის გარკვევის ან კონსულტაციის მიზნით.

03

ჩვენი თანამშრომლების დაცვა

ადამიანური რესურსები

ნულოვანი ტოლერანტობა შევიწროებისა და დისკრიმინაციის მიმართ

სამართლიანი მოპყრობა

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ადამიანის უფლებები

თანამშრომლის კონფიდენციალობასთან დაკავშირებული უფლებები

ინტეგრირების კულტურა

პასუხისმგებლიანი კომუნიკაცია სოციალური მედიის გამოყენებისას

ადამიანური რესურსები

ადამიანური რესურსები წარმოადგენს ჩვენი კომპანიის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ემყარება ადამიანების მიმართ პატივისცემას და მათი უნიკალურობის აღიარებას.

მათი მაღალი პროფესიონალიზმი და მენარინისადმი ერთგულება გადამწყვეტი ფაქტორია კომპანიის მიზნების მისაღწევად.

აღნიშნული მიზეზის გამო, ჩვენ ხელს ვუწყობთ პროფესიულ ზრდას და განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნისა და შეძენილი უნარების გაფართოებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ეხება პირის უფლებებს, განსაკუთრებით ჩვენი თანამშრომლების ეთიკურ და ფიზიკურ ხელშეუხებლობას.

კოდექსში ჩამოყალიბებული ღირებულებებისადმი ერთგულება ფუნდამენტურია ჩვენი თანამშრომლების დაჯილდოების, წახალისების და წინსვლისთვის.

ვაკანტურ თანამდებობაზე ყველა განმცხადებელს მენარინი ეპყრობა სამართლიანად და პატივისცემით, სტანდარტული კარგი პრაქტიკის გამოყენებით; მენარინში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმის რეკომენდაცია და პატრონაჟი.

ნულოვანი ტოლერანტობა შევიწროებისა და დისკრიმინაციის მიმართ

როდესაც საქმე ეხება დისკრიმინაციას ან შევიწროებას, ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველა ჩვენმა თანამშრომელმა იხელმძღვანელოს ჩვენი ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპით. მენარინის მიზანია შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო ადგილი. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ არავითარ შეხედულებას, რომელიც დაფუძნებულია ისეთ პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორიცაა რასა, ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, სქესობრივი უპირატესობა, ასაკი, ქმედუუნარობა, ორსულობა, ოჯახური მდგომარეობა ან ვეტერანის სტატუსი ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ასპექტები. აღნიშნული ასევე ეხება შევიწროებას, დაშინებას ან იძულებას. პერსონალის მართვა, მათ შორის დაქირავება, შეფასება, გადაყვანა, კარიერული წინსვლა, კომპენსაცია ან სამსახურიდან გათავისუფლება, უნდა შესრულდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
თანამშრომლებსა და დირექტორებს უნდა ქონდეთ მოლოდინი, რომ შეფასდებიან მათი უნარების, შესაძლებლობებისა და შესრულების ეფექტურობის - და არა მათი პირადი მდგომარეობის ან მიდრეკილებების მიხედვით.

> მენარინის მიზანია შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო ადგილი. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ არავითარ შეხედულებას, რომელიც დაფუძნებულია ისეთ პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორიცაა რასა, ფერი, სქესი, რელიგია, ეროვნული წარმომავლობა, სქესობრივი უპირატესობა, ასაკი, ქმედუუნარობა, ორსულობა, ოჯახური მდგომარეობა ან ვეტერანის სტატუსი ან სხვა ასპექტები. იგივე ეხება შევიწროებას, დაშინებას ან იძულებას.

სამართლიანი მოპყრობა

მენარინი უზრუნველყოფს სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას ყველა თანამშრომლის მიმართ, ხელს უწყობს პოზიტიურ სამუშაო გარემოს და იცავს ყველა შრომის კანონსა და რეგულაციას. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ შევქმნათ სამუშაო ადგილი, რომელიც თავისუფალია არაცივილიზებული და არაჰუმანური პრაქტიკისგან, მათ შორის სექსუალური შევიწროების, სექსუალური ძალადობის, ფიზიკური დასჯის, ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფისგან.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

მენარინი აცნობიერებს ყველა მისი თანამშრომლის და მათი, ვისაც წვდომა აქვს ჩვენს ოფისებზე, აგრეთვე კომპანიის საქმიანობაში ჩართულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობას.
ჩვენი ვალდებულებაა გამოვიყენოთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თანმიმდევრული სტანდარტები ჩვენს ოფისებში გლობალური მასშტაბით, გავაუმჯობესოთ სამუშაო გარემოს პირობები, უზრუნველვყოთ, ყველა მოქმედ კანონთან და რეგულაციასთან შესაბამისობა, მათ შორის საქმიან მოგზაურობასა და შეხვედრებთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია მინიმუმამდე დავიყვანოთ ან აღმოვფხვრათ არასასურველი ინციდენტები, რომლებიც ეხება ჩვენს თანამშრომლებს, მესამე მხარეებს და ჩვენს საზოგადოებას. ამიტომ, ჩვენ აქტიურად ვუწყობთ ხელს მუშაკებს შორის უხედური შემთხვევის პრევენციისა და რისკის შესახებ ინფორმირებულობის კულტურის განვითარებას, სპეციფიური ინფორმაციისა და ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობით.
ყველას ეკისრება პასუხისმგებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს შენარჩუნებაზე, მათ შორის ყველა უხედური შემთხვევის დასან „პოტენციურად სახიფათო სიტუაციების“ შესახებ დროული შეტყობინების გზით.

ადამიანის უფლებები

მენარინი მოწოდებულია მხარი დაუჭიროს და პატივი სცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს, თავიდან აიცილოს თანამონაწილეობა ყოველგვარ „ბოროტად გამოყენებაში".

ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი თანამშრომლების ღირსება, ჯანმრთელობა, თავისუფლება და თანასწორობა, ყველა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, და ვკრძალავთ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას და ბავშვთა ექსპლუატაციას ან იძულებით შრომას.

ჩვენ ვითხოვთ ჩვენი ბიზნესპარტნიორებისაგან, რომ გაიზიარონ იგივე ვალდებულება ადამიანის და თანამშრომლების უფლებებთან დაკავშირებით

თანამშრომლების კონფიდენცი-ალობასთან დაკავშირებული უფლებები

მენარინში ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით თითოეული პირის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის ჩვენი თანამშრომლების და პარტნიორების პერსონალურ მონაცემებს. ისინი მუშავდება კონფიდენციალობის მკაცრი დაცვით, მონაცემთა დაცვის მოქმედი რეგულაციების, ასევე **Menarini Group**-ის გლობალურ მონაცემთა დაცვის მართვის მოდელის შესაბამისად. ინფორმაცია გროვდება მონაცემთა მინიმიზაციის პრინციპის შესაბამისად და მუშავდება მხოლოდ შრომითი ურთიერთობების მართვასთან დაკავშირებული მიზნებისთვის. აღნიშნული სრულდება ექსკლუზიურად უფლებამოსილი პერსონალის მიერ საქმიანობასთან დაკავშირებული აუცილებლობის საფუძველზე. მონაცემები უსაფრთხოდ ინახება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც იგი შეგროვდა და შემდგომში სათანადო წესით წაიშლება. ნებისმიერ დროს, თანამშრომლებს და პარტნიორებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ პერსონალს, რათა ისარგებლონ კონფიდენციალობის კანონებით გათვალისწინებული უფლებებით დასან შეატყობინონ თავიანთი პერსონალური მონაცემების არასათანადო გამოყენების შესახებ.

ინტეგრირების კულტურა

ჩვენთვის მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი ღირებულებაა თითოეული თანამშრომლის უნიკალურობისა და ღირებული წვლილისადმი პატივისცემის კულტურის განვითარებისათვის. ჩვენს სამუშაო გარემოში ნებისმიერი მრავალფეროვნება, იქნება ეს ეროვნება, კულტურა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგია თუ პროფესიული ფონი, განიხილება, როგორც დამატებითი უპირატესობა. ჩვენ ვითვალისწინებთ ასეთ განსხვავებებს და ვაღიარებთ მათ მნიშვნელობას ჩვენს წარმატებაში.

პასუხისმგებლიანი კომუნიკაცია სოციალური მედიის გამოყენებისას

კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის დასაცავად, თანამშრომლებს მოეთხოვებათ სოციალური მედიის სათანადოდ გამოყენება, როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ასევე კერძოდ. მართლაც, ონლაინ კონტენტის გამოქვეყნებამ ან კომენტარებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მენარინის რეპუტაციაზე.

რაც შეეხება ჩვენი კომპანიის პროდუქტებს, მხოლოდ ავტორიზებულ თანამშრომლებს აქვთ სოციალურ ქსელში მენარინის სახელით კომუნიკაციის უფლება.

თავი 3 - პრაქტიკული მაგალითები

ვიცი, რომ ჩემს განყოფილებაში არის ღია ვაკანსია. ვიცი, რომ ჩემი ძმა დაინტერესებულია მენარინში მუშაობით. შემიძლია რეკომენდაცია გავუწიო მას ჩემს მენეჯერთან ან HR დეპარტამენტთან?

მენარინი ითვალისწინებს კვალიფიციური კანდიდატების რეკომენდაციას, მიუხედავად მათი ურთიერთობისა თანამშრომლებთან. თუმცა, კომპანია არ ახორციელებს სამუშაოზე აყვანას ან კადრების შერჩევას რაიმე სახის რეკომენდაციის ან პატრონაჟის საფუძველზე.

არაოფიციალურად გავიგე, რომ ჩვენ ერთერთ პროვაიდერზე მიმდინარეობს გამოძიება ბავშვთა შრომის ექსპლუატაციისთვის. გავუკეთო თუ არა იგნორირება ამ ინფორმაციას?

არა. მენარინი იცავს ადამიანის უფლებებს და არ მოითმენს ქცევას, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონებს და ზოგადად მიღებულ შრომის სტანდარტებს. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ თქვენს მენეჯერს. მენარინი შეისწავლის საკითხს და საჭიროების შემთხვევაში მიიღებს შესაბამის ზომებს.

კოლეგამ შემომთავაზა გამეზიარებინა კომპანიის პროდუქტთან დაკავშირებით პოსტი სოციალური ქსელის ჩემს ერთერთ პროფილზე. დასაშვებია თუ არა აღნიშნული ფაქტი?

ასეთი მდგომარეობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მხოლოდ ავტორიზებულ თანამშრომლებს აქვთ კომპანიის სახელით სოციალურ ქსელში ოფიციალური კომუნიკაციის, მათ შორის კომპანიის ნებისმიერ პროდუქტთან დაკავშირებით პოსტების შექმნის უფლება.

04

ჩვენს პაციენტებზე ფოკუსირება

კეთილსინდისიერება კვლევისა და განვითარების საქმიანობებში

მონაცემების გამჟღავნება

ჩვენი პროდუქტების ხარისხი

პაციენტის უსაფრთხოება

უსაფრთხოების მონიტორინგი და ანგარიშგება

მონაცემთა კონფიდენციალობა

კეთილსინდისიერება კვლევისა და განვითარების საქმიანობებში

ჩვენ ვისწრაფვით, რომ მივაღწიოთ სამეცნიერო სრულყოფილებას კვლევისა და განვითარების საქმეში, რაც საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ ინოვაციური და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიწოდება, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ჩვენი პაციენტების თერაპიული საჭიროებები.

ჩვენ ამ აქტივობებს ვახორციელებთ კეთილსინდისიერად, ეთიკური ასპექტების საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე და ვიძლევით გარანტიას, რომ ყველა პრეკლინიკური და კლინიკური კვლევა ტარდება უმაღლესი სამედიცინო და სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად და ყველა მოქმედი კანონის, რეგულაციებისა და კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითებების დაცვით.

მონაცემთა გამჟღავნება

იქ, სადაც ნებადართულია, ჩვენ მზად ვართ გავუზიაროთ კლინიკური კვლევების ინფორმაცია და მონაცემები პაციენტებს, სამედიცინო/კვლევით საზოგადოებას და მედიას.

აღნიშნულს ჩვენ ვახორციელებთ პაციენტების კონფიდენციალობის გათვალისწინებით და აგრეთვე ყველა მარეგულირებელი სისტემის შესაბამისად.

ჩვენი პროდუქტების ხარისხი

ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი პროდუქტების განვითარებას, წარმოებას და კონტროლს უმაღლესი ხარისხის სტანდარტების, აგრეთვე ყველა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნის და საერთაშორისოდ აღიარებული კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

ამ მიზნით, ჩვენ დავნერგეთ უნიკალური ხარისხის სისტემა, რომელსაც მხარს უჭერს და უზრუნველყოფს მენარინის უმაღლესი პროფესიული უნარების მქონე პერსონალი და რომელსაც მუდმივად ავითარებს კომპანია.

რეგულარულად ხორციელდება ასეთი ხარისხის სისტემის შემოწმება და სერტიფიცირება შესაბამისი ჯანდაცვის ორგანოს მიერ.

პაციენტების უსაფრთხოება

ჩვენი ბიზნეს საქმიანობა და გადაწყვეტილებები ეფუძნება პაციენტების მიმართ ჩვენს ყურადღებას. ჩვენ ვაწარმოებთ და ბაზარზე გაგვაქ პრეპარატები, რათა დავიცვათ და გავაუმჯობესოთ მათი ფიზიკური მთლიანობა და ჯანმრთელობა.

იმისათვის, რომ განვახორციელოთ და შევასრულოთ პაციენტის მიმართ ეთიკური ვალდებულებები, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მივიღოთ მათთვის ოპტიმალური სამეცნიერო, თერაპიული, სამედიცინო და დიაგნოსტიკური გადაწყვეტილებები. აღნიშნული ასევე გულისხმობს საქმიანობას პროდუქტების მკაცრი სტანდარტების დაკმაყოფილების ან მათი გადაჭარბების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაციენტის უსაფრთხოება.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი პროდუქტები და სასაქონლო ნიშნები გაყალბებისგან, ფალსიფიცირებისგან, ქურდობისგან ან სხვა არაკანონიერი გამოყენებისგან.



უსაფრთხოების მონიტორინგი და ანგარიშგება

მენარინი ახორციელებს ყველა იმ მონაცემის კონტროლს, შეფასებას და მართვას, რომელიც ეხება როგორც მის ბაზარზე გატანილი პროდუქტების, ასევე კლინიკურ კვლევებში გამოყენებული საკვლევი პრეპარატების უსაფრთხოებას.

აქედან გამომდინარე, თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ნებისმიერი გვერდითი მოვლენის ან ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **Menarini Group-** ის კომპანიის მიერ რეალიზაციაში ჩაშვებული პრეპარატის ან პროდუქტის მიღების შემდეგ.

გვერდითი მოვლენები მოიცავს ნებისმიერ არასასურველ და მოულოდნელ შედეგს, როგორიცაა პათოლოგიური ლაბორატორიული შედეგები, სიმპტომი ან დაავადება, რომელიც დროის მიხედვით უკავშირდება პრეპარატის გამოყენებას, თუნდაც ის თავად პრეპარატთან არ იყოს უშუალოდ დაკავშირებული. გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის შეტყობინება შესაძლებელია **Menarini Group-** ის კომპანიების ვებ-გვერდებზე დეტალურად აღწერილი პროცედურების მიხედვით.

მონაცემთა კონფიდენციალობა

ყველა პაციენტის კონფიდენციალობის უფლებები, ფუნდამენტური თავისუფლებები და ღირსება, მათ შორის მათი, ვინც მონაწილეობს კლინიკურ კვლევებში, რომელთა დაფინანსებას უზრუნველყოფს **Menarini Group** მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

მენარინი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ყველა მისი პაციენტის მონაცემების უსაფრთხოება და დაიცვას უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მოთხოვნილია ყველა მოქმედი კანონმდებლობით, რათა თავიდან აიცილოს მონაცემთა დაკარგვა და ამ მონაცემებზე არაავტორიზებული ან უკანონო წვდომა ან გამოყენება.

გარდა ამისა, კომპანია იყენებს მრავალ ტექნოლოგიურ უსაფრთხოების გადაწყვეტილებასა და პროცედურას, რომლებიც შექმნილია პერსონალური მონაცემების დასაცავად.

ასეთი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და წაშლა ხდება მონაცემთა დაცვის ყველაზე მკაცრი სტანდარტების შესაბამისად და მათთვის წარდგენილი საინფორმაციო შეტყობინებების პირობების სრული დაცვით.

პაციენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ თანამშრომელს, რათა ისარგებლონ კონფიდენციალობის შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლებებით და/ან შეატყობინონ თავიანთი პერსონალური მონაცემების არასათანადო გამოყენების შესახებ.

თავი 4 - პრაქტიკული მაგალითები

ვმუშაობ საწარმოო ხაზზე. რა უნდა გავაკეთო, თუ შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მზა პროდუქტი საწარმოო ხაზიდან, არ აკმაყოფილებს მენარინის ხარისხის სტანდარტებს?

მენარინი აწარმოებს მაღალი ხარისხის პროდუქტებს. თუ შეამჩნევთ პროდუქტებს, რომლებიც არ შეესაბამება ჩვენს სტანდარტებს, მიჰყევით მოქმედ დოკუმენტაციაში განსაზღვრულ პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში აცნობეთ თქვენს მენეჯერს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ექსპერტებს.

წვეულებაზე კოლეგა იგებს, რომ მეგობარმა გამოიყენა მენარინის პროდუქტი და განუვითარდა თავის ტკივილი. საჭიროა თუ არა ამ ფაქტის შეტყობინება?

დიახ. მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის შეგროვებული ასეთი ინფორმაცია, მენარინის პროდუქტის პოტენციური გვერდითი ეფექტის სიმძიმე უნდა იყოს მოხსენებული 24 საათის განმავლობაში.

გარკვეულ პროექტებში ვთანამშრომლობ პაციენტთა ჯგუფთან და ზოგჯერ მიზიარებენ პაციენტების პერსონალურ მონაცემებს.

როგორ უნდა მოვიქცე?

თქვენი მოვალეობაა უზრუნველყოთ კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვა.

05

კეთილსინდისიერება ინფორმაციის დამუშავებისა და აქტივების დაცვის პროცესში

საბურალტრო წიგნები, ჩანაწერები და ფინანსური ანგარიშები

ინტელექტუალური საკუთრება

კონფიდენციალური ინფორმაცია

კორპორატიული აქტივების დაცვა

საბურალტრო წიგნები, ჩანაწერები და ფინანსური ანგარიშები

ჩვენი ანგარიშების, ფინანსური ანგარიშგებების, მოხსენების და სხვა მონაცემების სიზუსტე, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, რომელიც კანონით არის მოთხოვნილი და მიმართულია აქციონერების ან საზოგადოების მიმართ, წარმოადგენს **Menarini Group**-ის ფუნდამენტურ ღირებულებას.

ყველა ტრანზაქცია, რომელსაც აქვს ეკონომიკური ან ფინანსური მნიშვნელობა, სათანადოდ უნდა იყოს რეგისტრირებული. თითოეულ ჩანაწერს უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მითითებულ ტრანზაქციას და რომლის საშუალებითაც დგინდება თუ ვინ მოახდინა ამგვარი მოქმედების ავტორიზება, შესრულება, დარეგისტრირება და შემოწმება. უფრო მეტიც, ბიზნეს ჩანაწერები უნდა შეიცავდეს ბუღალტრულ და ფინანსურ მონაცემებს, დროის აღრიცხვისა და სახელფასო ჩანაწერებს, ხარჯების შესახებ ანგარიშებს, მომხმარებლებისა და მიმწოდებლების შესახებ ჩანაწერებს, ინვოისებს, წარმოების ჩანაწერებს და კომპანიის სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ინტელექტუალური საკუთრება

მენარინი ხელს უწყობს ინოვაციებს ფარმაცევტულ და დიაგნოსტიკურ სექტორებში მოწინავე პროდუქტების კვლევისა და შემუშავების გზით, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად მთავარია ინტელექტუალური საკუთრების მკაცრი დაცვა. ინტელექტუალური საკუთრება კომპანიას ანიჭებს კონკურენტუნარიან უპირატესობას..

გაგრძელებ ა შემდეგ გვერდზე →

ჩვენ ხელს ვუწყობთ ინოვაციებს ფარმაცევტულ და დიაგნოსტიკურ სექტორებში მოწინავე პროდუქტების კვლევისა და შემუშავების გზით, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად მთავარია ინტელექტუალური საკუთრების მკაცრი დაცვა.

ინტელექტუალური საკუთრება

აღნიშნული მოიცავს ნებისმიერ პატენტს, სასაქონლო ნიშანს, საავტორო უფლებას, სავაჭრო საიდუმლოებას (მაგ., სამეცნიერო, ტექნიკურ და კომერციულ ნოუ-ჰაუს), ასევე ბიზნეს სტრატეგიებს, მათ შორის პროდუქტის გაშვებას. ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი ინტელექტუალური საკუთრების დაზღვევას დაკარგვის, ქურდობის ან სხვაგვარი არამართებული გამოყენებისგან და პატივს ვცემთ მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

კონფიდენციალური ინფორმაცია

საქმიანობის წარმართვისას, ჩვენ შეიძლება შეგექმნათ ან შეგიტყოთ კონფიდენციალური ინფორმაცია ჩვენი კომპანიების, ბიზნეს პარტნიორების ან ნებისმიერი სხვა მესამე მხარის შესახებ.
იმისათვის რომ დავიცვათ კომპანიების ინტერესები, ჩვენ არ ვუზიარებთ ამ ინფორმაციას იმ პირებს, მენარინის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც არ აქვთ აღნიშნული ინფორმაციის ცოდნის ლეგიტიმური ბიზნეს საჭიროება ან წინასწარ განსაზღვრული კონფიდენციალობის ხელშეკრულებები.

კორპორატიული აქტივების დაცვა

მენარინში ყველანი ვალდებულნი ვართ დავიცვათ კომპანიის აქტივები და უზრუნველვყოთ მათი ეფექტური გამოყენება.

აქტივები მოიცავს როგორც ფიზიკურ ნივთებს, ასევე ინფორმაციას, რომელიც ეხება ჩვენს ბიზნესს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, სამუშაო დოკუმენტები და ელექტრონული მონაცემები.

ისინი ყოველთვის უნდა იქნას გამოყენებული კანონიერი ბიზნეს მიზნებისთვის და ასევე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. ქურდობა, უყურადღებობა და დანაკარგი პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს ეფექტურობაზე და პოტენციურად აზიანებს მესამე მხარის მიერ ჩვენ მიმართ ნდობას.

თავი 5 - პრაქტიკული მგზლოიეი

ჩემმა მიმართულების მენეჯერმა მოხოვა, დავარეგისტრირო გაყიდვები, რომლებსაც ის ელოდება ერთ-ერთი მომხმარებლისგან, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გვაქვს შეკვეთის დასტური. არის თუ არა აღნიშნული ფაქტი ნორმალური?
არა. ჩანაწერების და ანგარიშების გაყალბება, ან ფაქტების არასწორი წარდგენა წარმოადგენს თაღლითობას. გარდა ამისა, დისციპლინური პასუხისმგებლობის გარდა, აღნიშნულმა ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასჯელი როგორც თქვენთვის, ასევე მენარინის მიმართ. არასოდეს გააკეთოთ ყალბი ან შეცდომაში შემყვანი ჩანაწერები მენარინის რომელიმე დოკუმენტში.
მენარინისთვის სემინარს ვუწევ ორგანიზებას და მინდა გადმოვწერო სტატია სამეცნიერო ჟურნალიდან, რომელიც ყველა მონაწილეს გადაეცემა. მაქვს თუ არა ამის უფლება?
უნდა გაითვალისწინოთ, რომ მესამე მხარის საავტორო უფლებები სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ეჭვი საავტორო უფლებებთან დაკავშირებით, მოითხოვეთ ახსნა-განმარტება თქვენი მენეჯერისგან დ/ან იურიდიული დეპარტამენტისგან.

მე ვმოგზაურობ მენარინის თანამშრომელთან ერთად და განვიხილავთ მიმდინარე კლინიკური კვლევის კონფიდენციალურ შედეგებს. ეს დაშვებულია?
ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ, კონფიდენციალური ინფორმაციის საჯარო ადგილებში, ასევე სოციალურ მედიასა და არასანქცირებულ საკომუნიკაციო არხებში განხილვასთან დაკავშირებით.

06

საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა

პოლიტიკური შენატანები

საქველმოქმედო შემოწირულობები და სოციალური პროექტები

სახელისუფლებო ორგანოებთან და უწყებებთან თანამშრომლობა

პოლიტიკური შენატანები

მენარინი თავს იკავებს პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური თუ პროფკავშირული მოძრაობების, პოლიტიკური კომიტეტების და ორგანიზაციების, ან მათი წარმომადგენლების თუ კანდიდატების, პირდაპირ ან არაპირდაპირ, დაფინანსებისგან.

ის ასევე არ აფინანსებს ასოციაციებს და ღონისძიებებს ან კონფერენციებს, რომელთა მიზანია პოლიტიკური პროპაგანდა.

საქველმოქმედო შემოწირულობები და სოციალური პროექტები

მენარინი გარანტიას იძლევა, რომ ნებისმიერი შენატანი ან შემოწირულობა საქველმოქმედო ან სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციებში ხორციელდება ყველა მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონისა და რეგულაციის დაცვით.

საქველმოქმედო შემოწირულობები და სოციალური პროექტები უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული კორუფციული მიზნებისთვის. შემოწირულობები და სოციალური პროექტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არასათანადო უპირატესობების მისაღებად, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისგან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული ბენეფიციარებთან.



ჩვენ ვცდილობთ ვიმოქმედოთ მაქსიმალური კეთილსინდისიერებითა და კორექტულობის დაცვით ყველა უფლებამოსილ ორგანოსთან და უწყებასთან ურთიერთობისას.

სახელისუფლებო ორგანოებთან და უწყებებთან თანამშრომლობა

მეწარინი ცდილობს იმოქმედოს მაქსიმალური კეთილსინდისიერებითა და კორექტულობის დაცვით ყველა უფლებამოსილ ორგანოსთან და უწყებასთან ურთიერთობისას.
ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ინფორმაციის კანონიერ მოთხოვნასთან და ობიექტზე გამომიებასთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის. ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მაღი გამომიებისა და ინფორმაციის მოთხოვნისთვის ხელის შეშლას, კატეგორიულად იკრძალება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

თავი 6 - პრაქტიკული მაგალითები

ჩვენმა დისტრიბუტორმა თქვა, რომ მას შეუძლია ახალი კონტრაქტის უზრუნველყოფა სამთავრობო სტრუქტურასთან, თუ ჩვენ განვახორციელებთ გარკვეულ საქველმოქმედო შემოწირულობას. როგორც შევიტყვე ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის საბჭოს წევრი მუშაობს სამთავრობო უწყებაში, რომელიც პასუხისმგებელია ამ კონტრაქტზე. როგორ მოვიქცე?
არ განახორციელოთ არავითარი შენატანი და აღნიშნულის შესახებ შეატყობინეთ თქვენს მენეჯერს. დისტრიბუტორი გთავაზობთ ქრთამის შენიღბვას საქველმოქმედო შემოწირულობის სახით, და ამგვარი შემოწირულობის ნაწილის შესაძლო გამოყენებას იმ თანამდებობის პირების მოსყიდვის მიზნით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კონტრაქტის გაფორმებაზე.
სახელისუფლებო ორგანოებმა კომპანიას მიმართა ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით.
უნდა მივაწოდო თუ არა კომპანიის დოკუმენტები ან ინფორმაცია?
დიახ. შესაბამისი განყოფილებების მეშვეობით, მეწარინი სრულად თანამშრომლობს სახელისუფლებო ორგანოებთან და უზრუნველყოფს შესაბამის ინფორმაციას კანონიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით. გთხოვთ, სასწრაფოდ გადაუგზავნოთ ნებისმიერი მოთხოვნა შესაბამის განყოფილებას (მაგ. კორპორატიული ანტიმონოპოლიური და კონფიდენციალობის დაცვის განყოფილება, შიდა აუდიტისა და კომპლაენსის განყოფილება, ადამიანური რესურსების განყოფილება).

07

ქცევის კოდექსის დარღვევების ანგარიშგება (კორპორატიული ინფორმირების პოლიტიკა)

ინფორმირება

დისციპლინარული სანქციები

დაცვა სამაგიეროს მიზღვისგან



ინფორმირება

საჭიროების შემთხვევაში, მონაწილე მხარეებმა უნდა მოხდინონ ამ კოდექსში მოცემული კანონების, რეგულაციების, პრინციპების და მენარინის პოლიტიკისა და პროცედურების ნებისმიერი დარღვევის, თუნდაც პოტენციური დარღვევის, შესახებ, ანგარიშგება.

თანამშრომლებმა, რომელთათვისაც ცნობილი გახდება ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საკითხის შესახებ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მენარინის საქმიანობაზე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ:

მათი მიმართულების მენეჯერს,

HR განყოფილებას

და/ან კომპლაენსის განყოფილებას

განცხადებები შეიძლება გაკეთდეს კონფიდენციალურად და ანონიმურობის დაცვით, სამაგიეროს მიზღვის შიშის გარეშე.

გაგრძელება მომდევნო გვერდზე →

არსებობს სპეციალური საკომუნიკაციო არხები დარღვევების ეფექტური შეტყობინებისთვის. განაცხადის გაკეთება შესაძლებელია ანონიმურად,სამაგიეროს მიზღვის საფრთხის გარეშე. ყველა შეტყობინება განიხილება კონფიდენციალურად.

ინფორმირება

დარღვევების ეფექტური შეტყობინებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალური საკომუნიკაციო არხები:

ვებ-გვერდი

კომპლაენსის გლობალური განყოფილების ელ-ფოსტის მისამართი: globalcompliance@menarini.com

ყველა შეტყობინება განიხილება სამართლიანად, სათანადოდ და შესწავლილი იქნება კონფიდენციალობის მკაცრი დაცვით. საჭიროების შემთხვევაში, მიღებული იქნება დისციპლინური და მაკორექტირებელი ზომები პოლიტიკის პოტენციური ხარვეზების აღმოსაფხვრელად და მომავალი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ამ კოდექსის ზოგიერთი დარღვევა შეიძლება საჭიროებდეს კომპანიის მიერ აღნიშნული საკითხის შესაბამის სამთავრობო ან მარეგულირებელ ორგანოებში გადაცემას შემდგომი გამოძიების ან სამართალწარმოებისათვის.

როგორც მენარინის ნაწილი, ჩვენ მოვალენი ვართ საკუთარი თავის, ჩვენი თანამშრომლების და კომპანიის წინაშე, რომ დავიცვათ მისი, როგორც ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე და ხარისხიანი პროდუქციის საიმედო მიმწოდებლის რეპუტაცია.

დისციპლინარული სანქციები

მენარინი მოელის სათანადო ეთიკურ ქცევას ყველა დირექტორისგან, თანამშრომლისგან და ბიზნეს პარტნიორისგან და, შესაბამისად, ყველა მონაწილე მხარე უნდა დაემორჩილოს წინამდებარე კოდექსს.

მოქმედი კანონების ან ამ კოდექსის ნებისმიერი დარღვევა გამოიწვევს შესაბამის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას. დარღვევის სიმძიმის ან სიხშირის მიხედვით, შესაძლოა საჭირო გახდეს სიტყვიერი ან წერილობითი საყვედური, დროებითი დათხოვნა, დისციპლინური გამოსაცდელი ვადა, ფინანსური ჯარიმა დან თანამშრომლის ურთიერთობის შეწყვეტა მენარინთან. ასევე, ამ კოდექსის ან მენარინის სხვა პოლიტიკისა და პროცედურების შეუსრულებლობა შეიძლება გათვალისწინებული იქნას თანამშრომლის დაწინაურებასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მათ შორის წახალისების ან სამუშაოს შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების კუთხით.

რაც შეეხება მესამე მხარეებს, დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე და სხვა სპეციალური პირობების შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

დაცვა სამაგიეროს მიზღვისგან

მენარინში არ უნდა განხორციელდეს ნეგატიური ქმედება იმ პირის მიმართ, რომელიც უზრუნველყოფს ჭეშმარიტი ინფორმაციის მიწოდებას კანონის, კოდექსის ან სხვა შიდა პოლიტიკის ან პროცედურის დარღვევასთან დაკავშირებით. იმ პირების დევნა, ვინც ახდენს რაიმე გადაცდომის შესახებ შეტყობინებას, დაუშვებელია. ნებისმიერ პირს, რომელიც ამგვარად იქცევა ან ცდილობს აღნიშნულის გაკეთებას, დაეკისრება დისციპლინური სასჯელი.

ზურისძიების მსხვერპლმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამ შემთხვევის შესახებ თავის მიმართულების მენეჯერს, HR დეპარტამენტს დან კომპლაენსის განყოფილებას შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: globalcompliance@menarini.com.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მენარინი ანალოგიურად მიიღებს სადამსჯელო ზომებს იმ პირების მიმართ, რომლებიც შეგნებულად ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, ასევე დაიცავს მათ, ვინც უსამართლოდ იყო ჩართული მასში.

08

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია

დარღვევების ეფექტური შეტყობინებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალური საკომუნიკაციო არხები:

- *ვებ-გვერდი*
- გლობალური ელ-ფოსტის მისამართი: **globalcompliance@menarini.com**

კოდექსთან დაკავშირებით რაიმე შეკითხვის ან განმარტების საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ:

- თქვენს მიმართულების მენეჯერს
- HR დეპარტამენტს
- კომპლაენსის განყოფილებას

Ethical vision,
Integrity in action

MENARINI
group